ოქმი N 11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2022 წლის 12 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. სერგო ბერაია
4. მალხაზი იოსავა
5. გურიელ ქარდავა
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია
8. ნინო ბოკუჩავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 10 ოქტომბრის N50-502228318 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 10 ოქტომბრის N50-502228318 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განაცხადა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 158.6 ათასი ლარით „გრანტებიდან“ (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად) და განისაზღვრა - 21498,3 ათასი ლარი. გადასახდელები გაიზარდა 721.3 ათასი ლარით და განისაზღვრა -25299,9 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 562,7 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებაზე 56,7 ათასი ლარი, აქედან:

9,8 ათასი ლარი - ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,საწვავ/საპოხი მასალების შეძენა“ ასიგნებაზე;

3,0 ათასი ლარი - ათასი ლარი - ,,მივლინება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,მივლინება ქვეყნის შიგნით“ ასიგნება;

0,6 ათასი ლარი - ,,ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟება“

28,8 ათასი ლარი - ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“.

5,0 ათასი ლარი - ,,სოციალური უზრუნველყოფა“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სოციალური დახმარება (ფულადი ფორმით)“.

5,2 ათასი ლარი - ,,არაფინანსური აქტივები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“.

4,3 ათასი ლარით - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა ასიგნება, ,,ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“-

პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე 506,0 ათასი ლარი, აქედან:

400,0 ათასი ლარი - ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის კორცხოს უბანში დამეწყრილ შიდა სასოფლო გზაზე გადაუდებელი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების სამუშაოების ასიგნებაზე;

5,0 ათასი ლარი - ქ. ხობში მრავალფუნქციური სპორტდარბაზის გაზმომარაგების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოების ასიგნებაზე;

5,0 ათასი ლარი - სს „ენერგოპრო ჯორჯია“-ს კუთვნილი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ხობის ცენტრალური პარკის ტერიტორიიდან გადატანა-რეკონსტრუქციის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

96,0 ათასი ლარი - ხობის მუნიციპალიტეტში, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ღელე შხერულაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ასიგნებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია